

დამტკიცებულია შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალური დირექტორის 2015 წლის 22 დეკემბრის
N239 ბრძანებით

სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელები

მუხლი 1. საერთო დებულება

სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი შედგება მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელისა და ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელისგან.

მუხლი 2. მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი

საქართველოს საჰაერო სივრცეში მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულით:

$$r = t \times N,$$

სადაც r – მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი; t – მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი - 61.20 ლარი¹; N - მომსახურების ერთეულის რაოდენობა.

$$N = d \times p,$$

d – მანძილის ფაქტორი, რომელიც გაიანგარიშება საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდის შესვლის და გასვლის წერტილებს შორის ორთოდრომიული მანძილის (კილომეტრებში) გაყოფით 100-ზე. მანძილის ფაქტორი მძიმის შემდეგ ორი ნიშნით განისაზღვრება; p – საჰაერო ხომალდის წონის კოეფიციენტი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$p = \text{VMTOW}/50,$$

სადაც MTOW – საჰაერო ხომალდის სერტიფიკატით განსაზღვრული მაქსიმალური ასაფრენი მასა, რომელიც იზომება მეტრულ ტონებში. წონის კოეფიციენტი მძიმის შემდეგ სამი ნიშნის სიზუსტით განისაზღვრება.

მიმდინარე თვეში შესრულებული ფრენისათვის მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის გაანგარიშების მიზნით სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთის ევროში გადაანგარიშება ხორციელდება წინა თვეში ევროსა და ეროვნულ ვალუტას შორის დაფიქსირებული გაცვლითი კურსით.

¹ 2017 წლის მარშრუტის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი - 61.20 ლარი შედგება ორი კომპონენტისაგან: 59.73 ლარი არის შპს „საქაერონავიგაციის“ (სააერნაოსნო მომსახურების პროვაიდერი) კომპონენტი, ხოლო 1.47 ლარი - სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ კომპონენტი.

გაცვლითი კურსი განისაზღვრება როიტერსის მიერ ყოველდღიურად დღის ბოლოს დაფიქსირებული კურსის საშუალო თვიური მნიშვნელობით.

მუხლი 3. ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი

3.1. ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი

3.1.1. საქართველოს აეროპორტებში ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$R=t \times N,$$

სადაც **R** – საჰაერო ხომალდის ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი; **t** - ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი- 1,073.64 ლარი; **N** - წონის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$N=(MTOW/50)^{0.7},$$

სადაც **MTOW** – საჰაერო ხომალდის სერტიფიკატით განსაზღვრული მაქსიმალური ასაფრენი მასა მეტრულ ტონებში.

3.1.2. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ინფორმაცია კონკრეტული საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასის შესახებ, წონის კოეფიციენტის სიდიდის გაანგარიშება უნდა მოხდეს ცნობილი მსგავსი ტიპის საჰაერო ხომალდების მაქსიმალური ასაფრენი მასის მიხედვით.

3.2. ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების განაკვეთზე დაწესებული შეღავათები

3.2.1. კოპიტნარის აეროპორტში ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** – 644.20 ლარი.

3.2.2. საჰაერო ხომალდისათვის, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა არ აღემატება 14 ტონას, ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** – 358.00 ლარი;

3.2.3. იმ კომერციული გადამყვანისათვის, რომელიც 14 ტონაზე მეტი ასაფრენი მასის საჰაერო ხომალდით ასრულებს ადგილობრივ რეისს, ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი **t** - 644.20 ლარი;

3.2.4. იმ კომერციული გადამზიდველისათვის, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სატვირთო ავიაგადაზიდვებს, თუ კალენდარული თვის განმავლობაში აკუმულირებული მასა² არ აღემატება 1000 ტონას, ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის

²კომერციული, სატვირთო გადამზიდველისათვის, საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასის ნამრავლი (ყოველი თვის 01-დან მომდევნო თვის 01-მდე შესრულებული) სატვირთო რეისების რაოდენობაზე;

განაკვეთი t – 1073.64 ლარი, ხოლო თუ აკუმულირებული მასა აღემატება 1000 ტონას, მაშინ t – 644.20 ლარი.

3.2.5. ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი t – 200.00 ლარი, თუ საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასა არ აღემატება 14 ტონას, ხოლო 644.20 ლარი, თუ საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასა აღემატება 14 ტონას შემდეგ შემთხვევებში:

- ა) არასასურველი მეტეოროლოგიური პირობების გამო სათადარიგო აეროდრომზე დაშვება;
- ბ) ტექნიკური გაუმართაობა და საწვავით კმაგაწყობა;
- გ) ავადმყოფი ბორტზე;
- დ) აეროდრომის რაიონში საცდელ-სავარჯიშო ფრენა;
- ე) რადიოსანაოსნო მოწყობილობათა შემოფრენა.

3.2.6. შვეულმფრენისათვის ტერმინალის სააერნაოსნო მომსახურების ერთეულის განაკვეთი t – 200.00 ლარი ასაფრენი მასის და ფრენის მიზნის მიუხედავად.

მუხლი 4. სააერნაოსნო ინფორმაციის მომსახურების გადასახდელი

4.1. საქართველოს AIP-ი რგოლურად აკინძული ბეჭდვითი ვერსია, AIP-ის ცვლილებებთან, დამატებებთან, NOTAM Summaries და AIC-თან (სააერნაოსნო ცირკულარი) ერთად - 300.00 აშშ დოლარი (დღგ-ს ჩათვლით).

4.2. AIP-ის ცვლილებებზე, დამატებებზე, NOTAM Summaries, AIC-ზე წლიური ხელმოწერა (დღგ-ს ჩათვლით) - 230.00 აშშ დოლარი.

4.3. საქართველოს ელექტრონული AIP-ი (CD-ROM), AIP-ის ცვლილებების, დამატებების, NOTAM Summaries, და AIC-ის ელექტრონული ვერსია (დღგ-ს ჩათვლით) – 170.00 აშშ დოლარი .

4.4. საქართველოს ელექტრონული AIP-ის (CD-ROM) ცვლილებების, დამატებების, NOTAM Summaries, AIC-ის ელექტრონულ ვერსიაზე წლიური ხელმოწერა (დღგ-ს ჩათვლით) – 170.00 აშშ დოლარი.

მუხლი 5. კავშირგაბმულობის მომსახურების გადასახდელი

5.1. სააერნაოსნო ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ქსელის ინდექსის მინიჭებისათვის და სააერნაოსნო ინფორმაციის კრებულში რეგისტრაციისათვის - 100.00 ლარი.

5.2. პროგრამული ინსტალაცია - 50.00 ლარი;

5.3. რადიოკავშირის საშუალებების იჯარის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საფასური თვეში - 23.00 ლარი.

5.4. ერთი ხმკ-ის ხაზის სააბონენტო საფასური თვეში - 18.00 ლარი.

5.5. ერთი შეტყობინების გაგზავნა - 3.00 ლარი.

5.6. ჩამწერი სისტემა „რიკოშეტის“ 1 წუთის გაშიფვრის ღირებულება - 61.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

მუხლი 6. ანგარიშების წარდგენა და გადასახდელის აკრება

6.1. მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების მომხმარებლებისათვის ანგარიშების წარდგენას და გადასახდელის აკრებას შპს „საქაერონავიგაციის“ და სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ სახელით ახორციელებს ევროპის სააერნოსნო უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის ცენტრალური სამსახური (CRCO).

6.2. ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების მომხმარებლებისათვის ანგარიშების წარდგენას და გადასახდელის აკრებას ახორციელებს შპს „საქაერონავიგაცია“. ანგარიშის წარდგენა განხორციელდება ლარში. გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც აშშ დოლარში, ასევე ევროში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის გამოყენებით (www.nbg.ge).

6.3. სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გადახდაზე პასახისმგებელია ის გადამზიდველი (ექსპედიტორი) - პირი, რომელიც საჰაერო ხომალდის ფრენის დროს ახორციელებდა გადაზიდვას (ექსპედიციას).

6.4. თუ გადამზიდველი/გადამყვანი (ექსპედიტორი) უცნობია, მაშინ საჰაერო ხომალდის მფლობელი ჩაითვლება გადამზიდველად/გადამყვანად (ექსპედიტორად), მანამ, სანამ ის არ განსაზღვრავს გადამზიდველს/გადამყვანს (ექსპედიტორს).

6.5. იმ შემთხვევაში თუ გადამზიდველი/გადამყვანი (ექსპედიტორი) ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ გადამზიდველი/გადამყვანი (ექსპედიტორი) და საჰაერო ხომალდის მფლობელი ერთად არიან პასუხისმგებელი სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გადახდაზე.

6.6. 2017 წლის 1 იანვრიდან სააერნოსნო მომსახურებაზე დაგვიანებული გადახდისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9.88%.

6.7. ფრენის შესრულებისთანავე ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გადახდის სურვილის შემთხვევაში, ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის დაფარვა უნდა მოხდეს საბანკო ანგარიშსწორების გზით, ქვემოთ მოცემული საბანკო რეკვიზიტების გამოყენებით:

PROPERTIES OF THE BANK FOR GEL PAYERS:

BENEFICIARY: "SAKAERONAVIGATSIA" LTD.
ID 208144051

BENEFICIARY BANK:

JSC "BANK REPUBLIC";

CODE REPLGE22, ACC #GE69BR0000000005467067

PROPERTIES OF THE BANK FOR USD PAYERS:

INTERMEDIARY BANK
SOCIETE GENERALE
AMERICAS, NEW YORK, USA
SWIFT: SOGE US33

BENEFICIARY BANK

BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA Correspondent Acc.

00195464 SWIFT: REPL GE 22

BENEFICIARY: SAKAERONAVIGATSIA LTD.
ACCOUNT IBAN NO: GE82BR0000000712070996

PROPERTIES OF THE BANK FOR EURO PAYERS:

INTERMEDIARY BANK
SOCIETE GENERALE
PARIS, FRANCE
SWIFT: SOGE FR PP
BENEFICIARY BANK
BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA CORRESPONDENT ACC. NO: 001019083750
SWIFT: REPL GE 22
BENEFICIARY: SAKAERONAVIGATSIA LTD.
ACCOUNT IBAN NO: GE82BR0000000712070996

იმ შემთხვევაში, თუ ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის დაფარვა საბანკო ანგარიშსწორების გზით შეუძლებელია, გადასახდელის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს შპს „საქაერონავიგაციის“ პოს ტერმინალზე პლასტიკური ბარათის გამოყენებით.

მუხლი 7. გადახდის პირობები

სააერნოსნო, სააერნოსნო - ინფორმაციულ და კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გადახდის პირობები განისაზღვრება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 8. სხვადასხვა

8.1. სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გადამხდელია ყველა ამ მომსახურების მომხმარებელი, მიუხედავად იმისა საქართველოს რეზიდენტი იგი თუ არა, და მიუხედავად საკუთრების ფორმისა და დაქვემდებარებისა, გარდა საქართველოს საჰაერო კოდექსითა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ნორმატიული აქტით განსაზღვრული, სააერნოსნო მომსახურების გადასახდელისაგან გათავისუფლებული ფრენებისა.

8.2 სააერნოსნო მომსახურების გადასახდელისაგან კანონმდებლობით გათავისუფლებულ ფრენებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

8.3 სააერნოსნო გადასახდელის გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფრენები, ხოლო მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელისგან თავისუფლდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის N1-1/67 ბრძანების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფრენები.

ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს:

შპს „საქაერონავიგაცია“

საქართველო, თბილისი,
აეროპორტი, 0198

ტელ.: 995 32 744 212

ფაქსი: 995 32 744 227

ტელექსი: 212329

**Sita: TBSYTSU AFTN:
UGGGGNXX**

<http://www.airnav.ge>

[E-mail: office@airnav.ge](mailto:office@airnav.ge)